რედაქცია

მოლ°ინის (აბას-აბადის) მოედანზე, უორლოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წლიწადში — 8 მან., ნახევარ წლიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

## სვანეთში აღელვება

ამ საგნის თაობაზე შემდეგი შენიშვნაა დაბეჭდილი აქაურს ოფიციალურს გაზეთში:

„გასული ივლისის დამდეგს ლეჩხუმის უეზდში, სვანეთის საპრისტაოში ატყდა აღელვება არა-კეთილგანზრახულებით განმარტებისაგან სხვა და სხვა ადმინისტრატიული ზომებისა და ადგილობრივი მთავრობის განკარგულებისა. აღელვებამ იქამდინ მიაღწია, რომ ხალხის ერთი ნაწილი სრულებით აღარ ემორჩილებოდა მთავრობას და იარ ღით წინააღმდეგობას აპირებდა.

„ამ საქმის ადგილობრივად გამოსაძიებლად და აგრეთვე მცხოვრებლების დასამშვიდებლად ჯეროვანის დარიგებითა, სვანეთში გაგზავნილი იყო ქუთაისის გუბერნიის გამგებელი სტატსკი სოვეტნიკი მალაჭეევი და ამ დროსვე, თუ საჭიროება მოითხოვდა, ძალით მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცველად და აგრეთვე იმ კამანდის დასახმარებლად, რომელიც სოფ. ბეჭოს იყო დაყენებული, გაგზავნეს ღენერალ-მაიორი ციტოვიჩი — ალექსანდროპოლის პოლკის ორი როტით, ქუთაისის ირეგულიარული პოლკის ორასი კაცით, არტილლერიის ბრიგადების ბატარეის ვზვოდით და საპერებით.

„ეს ჯარი, რომელსაც ყოველივე საჭირო ჰქონდა, ივლისის 8-ს გავიდა ქუთაისიდამ და ქუთაისის გუბერნიის გამგებელთან ერთად მიდიოდა; გაიარეს სოფლები: მური, ლენტეხი, ლუჯი, დოვბერი და ლატალი და 24 ივლისს დაუბრკოლებლივ მიაწიეს სვანეთის შუაგულ სოფელს ბეჭოში, სადაც შეუერთდნენ თერგის მაზრის უფროსისაგან გამოგზავნილს ორას კაცს მთიელების მილიციას, რომელიც 15 ივლისს მისულიყო ამ სოფელში.

„ახლად მოსული ცნობებიდამ სჩანს, რომ ქუთაისის გუბერნიის გამგებელს, დარიგებისა და იმ საგნების განმარტებით, რომლის გამოც ეს აღელვება მოხდა, მოუხერხებია, სისხლის დაუღვრელად, ხალხის დამშვიდება და ამასთანავე დაუტყვევებია აღელვების მოთავე პირები. მხოლოთ ერთი დამნაშავე, რომელმაც ნებით არ მოინდომა გამოცხადება და თავის ორი ნათესავითურთ დაემწყვდია კოშკში და იგერებდა იმის დასაჭერად გაგზავნილ ჯარს, ძ ლით დაიჭირა ჯარმა და წამოიყვანა.

„ამის შემდეგ ივლისის 29-ს ოტრიადი უკ ნ დაბრუნდა სვანეთიდამ და ამასთანავე ქაბარდოს მილიცია დაითხოვეს.“

## დღიური

□ ქუთაისიდამ გვაცნობებენ, რომ, ამ უკანასკნელი ლაშქრობის დროს, სვანეთში ჯარს ერთი კოშკი დაუნგრევია, ერთი დედაკაცი მომკვდარა და რამდენიმე სვანი ტყვეთ ჩამოუყვანიათ ქუთაისში.

□ ჩვენი საჩივარიც შეგვიერთებია იმ „თფილისის მოამბის“ კორრესპონდენტის საჩივართან, რომელიც ამ გაზეთში აცხადებს, რომ, თუმცაა, ახალი ფოჩტის კანონის ძალით, იმ რკინის გზის სტანციებზე, საცა ფოჩტის განყოფილება არ არის, რკინის გზის ჩინოვნიკები ვალდებულნი არიან ყოველგვარი კორრესპონდენცია მიიღონო, მაგრამ ფოთი-თფილისის რკინის გზაზე კი ეს წესი არ არისო, არც უბრალო წიგნებსა და არც გაზეთებს არ იღებენო. კანონით, ყველა სტანციებზე უნდა მიიღონ წიგნებიცა და გაზეთებიც. წიგნებისთვის სამი კაპეიკი გადახდებათ იმ სტანციებზე, სადაც ფოჩტის განყოფილება არ არის, და გაზეთებისთვის კი არაფერი. მაგრამ, როგორც ზემოხსენებული კორრესპონდენტი ამბობს, ეს კანონი ჩვენი რკინის გზის სტანციებისთვის თითქო არ არსებობს...

□ ხსენებულისავე გაზეთის ორს წინა ნომერში დაბეჭდილია უფ. ნიკოლოზ ბამრეკელის სტატია შესახებ ბაქო-თფილისის რკინის გზის მიმართულებისა. ავტორი სრულის სიმართლით და ვონიერი საფუძვლებით ამტკიცებს, რომ ამ გზის კახეთზე გაყვანა ყოვლის მხრით უფრო სასარგებლო და ადვილი იქნებაო, ვიდრე ელისავეტოპოლზედაო.

□ თუმცა გასული თვის დაჟინებულმა წვიმებმა დიდი ზიანი მოუტანა ჩვენს ყანებსაო, გვწერენ გურიიდამ, მაგრამ იმედი გვაქსო, რომ წელს სამყოფი მოსავალი მაინც მოგვივაო. ყურძენი კი თითქმის სულ გააფუჭა ჩვეულებრივმა ავათმყოფობამ—ნაცარმაო; მხოლოდ ერთ გვარი ყურძენი იცის აქ, რომელსაც ხალხი „ჩხავერს“ ეძახის, — იმას ვერას აკლებსო ნაცარი. ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით, შარშან სამას ათას (300,000) ფუთამდინ მარტო სიმინდი გაუტანიათ გურიიდამ სამზღვარგარეთ ასე, რომ შარშანდელი ნამუშევარი თითქმის სულ აღარ დარჩენილა.

□ აღბულაღიდამ ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ ერთ ალაგას აქეთკენ ვილაცას ტელეგრაფის მართულები მოუპარავს, თუ გაუფუჭებია და ამის გამო ერთი თუ ორი დღის განმავალობაში ტელეგრაფი არ მუშაობდაო.

□ დაღესტნიდამ იწერებიან რუსულს გაზეთებში, რომ გასული თვეების განმავალობაში აქ საშინელი წვიმები იყოო და ამას წყალ-დიდობა დაერთოო. ზოგიერთ აულებში დიდი ნიაღვრები ჩამოვარდნილა, მდ. სამურს მოუმატნია და ბევრი ზიანი მიუცია მცხოვრებლებისათვის. სხვათა შორის, რამდენიმე კაციც დაღუპულა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

გორიდამ, 10 აგვისტოს

„საშინლად წახდა, ბატონო, ჩვენი ხალხი. რაც გაიძვერობა, ეშმაკობა, ავაზაკობა, ხერხი და მცბიერობაა, პირველად ისინი იგონებენ, პირველად იმათში იბადება და გამოდის ხოლმე. მოატყუვილონ, კაი ვინმე და სულ ერთია, ძმა იქნება, თუ მოსისხარი მტერი. თუნდ მეტი წაუვიდეს ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად, კაცის მოტყუებას მაინც არა ურჩევნიანთ რაო და სხ.“

ამისთანა სიტყვებს ხშირად გავიგონებთ ხოლმე ჩვენს ხალხში. და მართლაც, რომ დავაკვირდეთ, ადვილად შევამცნევთ, რომ დაიკარგა ჩვენში ის პატიოსნება, სიმართლე და კაცის ნდობა, რომელიც იყო წი-

# ფელეტონი

## ჩვენი ძველი ცხოვრების ძეგლები

„ან ეს რაცა ვსთქვი, რაღა ვთქვი,
თუ რაც მინდოდა, ვერა ვსთქვი?“

გრ. ორბელიანი

საყვარელო დაო ეფრო!

დიდის სიამოვნებით წამოველ სამგზავროთ შემთხვევისა მიერ, რომლისა მიზეზი იყო ჩემი სიყმაწვილით ნაცნობი კაცი და, გავბედავ, კარგი მეგობარი. ასე, რომ ეხლა ამ სიტყვებს ოზურგეთში ვსწერ, თავადი გრიგოლ გურიელის სახლებში, სადაც სწორეთ ქართულს პურ-მარილიანობას და კეთილ გულიანობას შევხვდი, რომელიც სასიამოვნო მოსაგონად უნდა დამრჩეს სამუდამოთ.

გურია არის მშვენიერი და ტურფა ვარდი იმ კონისა, რომელსაც საქართველოს ვეძახით და რომელზედაც ნათქვამია:

„სხვა საქართველო სად არის, რომელი
კუთხე ქვეყნისა?
ერი პურადი, გულადი—მებრძოლე შავის
ბედისა“.

და მართალიც არის, ადვილათ საპოვნი არ გახლავსთ. საქართველო ძველათ ყოფილა ბუნებით გამდიდრებული და, ერთი კათოლიკოზის ძველი ნივთისა არ იყოს, „ნემსი ზევიდან რომ ჩამოგეგდო, ცარიელ ალაგს არ დაეცემოდა“

საქართველოზე ბევრი რამ გვეთქმის კარგი და ბევრიც სამწუხარო; მაგრამ ეხლა მინდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა ჩვენი ძველი ცხოვრების ძეგლებზე.

რამდენ ნაირი გრძობა ელავს, რამდენ ნაირი აზრი ბრუნავს ჩემს გულში და ტვინში, მაგრამ რა ვსთქვა, რომელი ვსთქვა, ის მიძნელდება! ასეა, საყვარელო დაო, ჩვენი სიცოცხლე, რომ ბევრს აზრს, ბევრს გრძნობას, რომელიც აწევს მთელს შენს არსებას, უნდა მალავდე ნაქურდალ დანასავით. რათ უნდა ემალავდე? იმიტომ რომ შენი საყვარელი აზრი ჩემს საყვარელს სიცოცხლეს აწუხებსო. იქნება ასეა საჭირო?—არა. ყველასათვის არა?—დიახ, ყველასათვის არა, და თუ ვერ ვამბობთ, იმიტომ რომ ამის მიზეზი ჭეშმარიტი საჭიროება კი არ არის, ცრუ-მორწმუნოება, ან უბსკრულის სიბრმავე უშლის ჩვენს გულ-გაშლილობას.

მაგრამ ეჰ, ესრეთი წუწუნი შორს მომიყვა და სჯობს ისევ გულწყნარათ მოგიყვე, ჩემო საყვარელო დაო, იმას, რაც გვეთქმის.

უპირველეს საჭიროებად ჩემთვის და აგრეთვე ყოველი კაცისათვის დიხანია მე მიმაჩნია—სამშობლოს შესწავლა რაც შეიძლება ყოვლის მხრით და ამასთან, რასაკვირველია, არც ისე გაჭიანურებით, როგორც ერთს ნემეცის მეცნიერს, რომელსაც რვა დიდი წიგნი დაეწერა ბაღლინჯოების ცხოვრებაზე, ამათ ვაებაზე და ბედნიერებაზე; ოცი მეტი წელიწადი, თურმე, ჩასცქეროდა ბაღლინჯოების ცხოვრებას. ამას რომ მოვიგონებ, გამეცინება ხოლმე, მაგრამ

ნეთ; ნაცვლად მრავლობს უპირულობა, ერთმანერთის ღალატი, შური და სხ. სინიდისის და პატიოსნების დამამცირებელი და დამამახინჯებელი ყოფაქცევა.

ჩვენს გაზეთში რომ მარტო ჩვენი ბოროტ-მოქმედება და გაიძვერაობა იწერებოდეს, მერწმუნეთ, ისევ ის სტატიებით უკლებელი დარჩება, როგორც დღეს,— იმოდენა ამბები ხდება ხოლმე.

რაც მეზობლური მოტყუება და ერთმანერთის ღალატია, იმან ჭირი მოგვჭამოს, ენა ვერ მოსთვლის და არც მაინც და მაინც დიდი საჭირო კაცმა გაიგოს, მაგრამ მე მოგიყვანთ ერთს, კარგა ზორბა უპირულობის ნიმუშს, რომელმაც სუდამდისინ მიაღწია.

ვილაცას ცხენი მიექირავებინა მეორესთვის დღეში მანეთად. წაიყვანს ცხენს ეს კაცი, რამდენ ხანსაც უნდა ხედნის, თავის საქმეს გაიკეთებს და ბოლოს, როცა პატრონი მოიკითხავს ცხენს, „ბრაწს“ გაუკეთებს პატრონს.

— ეი, მამა ოხერო, რას მიჭყარამ? ცხენი მოგიყიდნია, ოცდა ხუთი მანეთი ფული მამიცია, და ეხლა მთხოვ?!.

რაღა ჰქნას ამ კაცმა! წავიდა და იჩივლა.

— შენ იყიდე ცხენი ამ კაცისაგან? ჰკითხა მოსამართლემ მოპასუხეს.

— დიახ, ვიყიდე.

— რამდენი მიეცი ფული?

— ოცდა ხუთი მანეთი.

— დაგესწრო ვინმე ამ ფულის მიცემაზე?

— როგორ არა, სამი მყავს მოწამე.

— როგორი ფული მიეცი შენ იმას?

— ერთი ოცდა ხუთიანი ბილეთი მივეცი.

შემოიყვანეს მოწმებს ორს, ორსავ მოსყიდულებს და ერთსაც ამ კაცის ნათესავს. ერთი მათგანი წმინდა უარს განაცხადებს, რომ არაფერი არ იცის ამ საქმის თაობაზედ; მეორე აჩვენებს, რომ ამ კაცმა მისცა ფული, მაგრამ არ იცის, რაში და რამდენი; მესამემ სთქვა, რომ იმ კაცმა სწორეთ იყიდა ცხენი, მისცა ოცდა ხუთი მანეთი, ორი თითო თუმნიანი და ერთიც ხუთმანეთიანი.

ამ ჩვენებით მოსამართლემ გარდასწყვიტა, რომ ან ცხენი ჩაბაროს პატრონს, ან რვა თუმანი ფული.

რამდენი ამისთანა კაი-კაცობა ხდება ხოლმე ჩვენში, თუმცა ყველამ იცის, რომ არ შერჩება და ტყუილად ხარჯში კი ვარდება, რომ მოატყუილოს კაცი და ამითი პირი, სინიდისი და ნდობა დაიკარგოს!

თეოფ. ქანდელაკი

# რუსეთი

※ პეტერბურღში შემდგარა ახალი საზოგადოება, რომლის დანიშნულება ის არის, რომ რუსეთის მდაბიო ხალხში წერა-კითხვა გაავრცელოს. ამ განზრახვით ეს საზოგადოება, სხვათა შორის, სასოფლო შკოლების გამართვას აპირებს, თავის ხარჯით, იმ სოფლებში, სადაც მცხოვრებლებს ვერ მოუხერხებიათ და აგრეთვე სახალხო წიგნების გამოცემასა და მუქთად დარიგებას.

※ ვიატსკის გუბერნიის ერობაში მოლაპარაკება ჩამოვარდნილა, იმაზე, რომ ჩვენს გუბერნიაში „ურთი-ერთის საზღვეველი საზოგადოება“ შევადგინოთო. ეს საზოგადოება ჯერ-ჯერობით, როგორც ამბობენ, მხოლოთ ცეცხლისაგან მიცემული ზიანის დასაცველად იქნება; და მერე ისეთი საზოგადოება უნდა დაარსონ, რომლის წევრებიც, არათუ მარტო ცეცხლის ზიანს უზღავენ ერთმანეთს, არამედ კალისას, გვალვისას და სხვა ყოველგვარი უბედური მოვლინებისას.

※ რამდენსამე შეძლებულ პირთ ნიჟეგოროდში განუზრახავთ მცირე-წლოვანი დამნაშავეებისათვის კოლონიის გამართვა; კოლონია შესდგება ფერმისა და შკოლისაგან; პირველში ყმაწვილები მეურნეობას ისწავლიან და მეორეში, წერა-კითხვას გარდა, ზოგიერთ ისეთ ხელობას, რომელიც შემდეგ მათ ცხოვრებაში ლუკმა-პურის მოსაპოებლად გამოადგებათ და მაშასადამე იძულებული აღარ იქნებიან, რომელიმე ბოროტ-მოქმედებით იცხოვრონ.

※ ერთს რუსულს გაზეთში სწერენ ქ. პეტროზავოდსკიდამ, რომ ყველა აქაურ სოფლის საზოგადოებების კანცელიარიებში განცხადება არის მიკრული, რომელშიაც აცხადებენო, რომ ვინც დათვს მოკლავს, ხუთ თუმანს საჩუქარს მიიღებსო, 25 მანეთს ქალაქის გამგეობიდგან და 25 სოფლის საზოგადოებისაგანო. ეს განკარგულება იმიტომ მოუხდენიათ, რომ ამ გუბერნიაში ძალიან გამრავლებულა თურმე დათვები და ამათგან მცხოვრებლებს ბევრი ზიანი აქვს.

# უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. ფრანცუზულს გაზეთებში იწერებიან, რომ გამბეტა ამ ვაკაციებში საფრანგეთის ზოგიერთი დეპარტამენტების დავლასა და რამდენიმე სიტყვის წარმოთქმას აპირებსო. მარცხენა მხრის დეპუტატები სთხოვენ თურმე, რომ ამ მოგზაურობაში განსაკუთრებით ისეთს დეპარტამენტებს მიაქციოს ყურადღება, სადაც სოფლისა და ქალაქების ხალხი უფრო გაუნათლებელია და მაშასადამე უფრო ნაკლებათ ესმის—თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია რესპუბლიკას საფრანგეთისათვის. ამბობენ, უმთავრესი მიზანი გამბეტას მოგზაურობისა ის იქნებაო, რომ იმის სიტყვამ გავლენა იქონიოს მომავალ ნაციონალურ კრებისა და სენატის წევრების ამორჩევაშიო.

ესპანია. მადრიდის ოფიციალური გაზეთი გვაცნობებს, რომ მომავალი წლის 1 იანვრისათვის მთავრობა 100,000 ახალ ჯარს შეკრებს ესპანიაშიო და ამ ჯარის შემწეობით კარლისტების საბოლოოთ დამარცხება და დამშვიდება განიზრახაო.

ოსმალეთი. ვენის გაზეთებში იწერებიან, რომ რუსეთის, გერმანიისა და ავსტრიის მმართებლობამ გარდაწყვიტესო, რომ გერცოგოვინის საქმის შესახებ თანხმობით ვიმოქმედოთო. და რადგანაც გერცოგოვინის დამშვიდება ყველაზე უფრო საჭირო ავსტრიისთვის არისო, ამის გამო ავსტრიის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ოსმალეთთან რუსეთიც და გერმანიაც ერთად მოითხოვენო.

— ზოგიერთს გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, ვითომც ალბანიაც აჯანყებულიყოს ოსმალოს წინააღმდეგ; მაგრამ, ამბობენ, ეს ამბავი მართალი არ არისო.

— კონსტანტინოპოლი, 25 (13) ივლისს („დროების“ კორრესპონ.). მე — ვერ ვპოვებ საკმაო სიტყვებს, რომ გამოვთქვა მშვენიერება იმ ცხოველ-მხატრობრივი, გონება-მიმზიდველი ბუნებისა, რომელსაც წარმოგვიდგენს ჩვენ „სტამბოლის ბოღოზი“ ანუ „ბოსფორი.“ მის მნახველ კაცს უსათუოდ მოუვა ფიქრში ჰაზრი, თუ უზენაეს ძალას უხმარია სრული მეცადინეობა თვისი, რომ შეექმნა იმ გვარი რამ, რომელსაც შესძლებოდა განკვირვება კაცის გონებისა.

სტამბოლს აქვს ის თვისება, რომ როგორც კი შეაბიჯებს კაცი ზღვიდგან ხმელეთზედ ფეხს, სურათი იცვლება, სიმშვენიერე ქალაქისა ნახევრად იკარგება.

კონსტანტინოპოლი მეტად დიდი ქალაქია, ირგვლივ გამოვა 15 ვერსტამდისინ. რიცხვი მცხოვრებთა მილიონ ორასს ათასზედ (1,200,000) მეტია. ეს არის კოსმოპოლიტური ქალაქი, თუმცა-ღა, რასაკვირველია, თათრის ელემენტი ჭარბობს. აქ შეხვდებით თითქმის ყველა ნაციის და სარწმუნოების კაცს; რიცხვით მათ შორის პირველი ადგილი უჭირავთ თათრებს, მათ შემდგომ არიან სომხები, მერმე ბერძნები, ურიები (გარდმოსახლებულნი ძველად ისპანიიდგან დევნულობის დროს,) იტალიელნი, ფრანცუზები, ნემეცები, ინგლისელები, ეგვიპტელნი, სპარსელები, არაბები და სხვა და სხვა მილეთის ხალხნი, ასე რომ კონსტანტინოპოლს თავისი აჭრელებული

---

საქართველოს შვილებს რომ წარმოვიდგენ, ნამცეცა ღიმილიც აღარა სჩანს ჩემს სახეზე, რადგანაც ცხადათ ვხედავ, რომ რამოდენათაც ბალღინჯოები ნემეცს გაუტყლარჭავს, იმოდენათ შეურაცხყოფას და სიბრიყვეს იჩენს თითქმის ყოველი ქართველი ყმაწვილი კაცი, ქალია თუ ვაჟი, თავის მშვენიერსა და მადლს სამშობლოსთანა.

წარმოიდგინე, ჩემო მეგობარო, რამოდენა განსხვავებაა ერთის მხრით ბალღინჯოს და საქართველოს შორის და მეორეთ ნემეცის შესწავლასა და ჩვენგნით ჩვენის ქვეყნის უცოდინარობის შორის, და მაშინ შენ თითონ გაიგებ, თუ რამოდენად დამნაშავედ ვგრძნობდი ჩემს თავს ჩვენ ქვეყანასთან, როდესაც თითქმის ჩინეთს უფრო ვიცნობდი, მანამ ჩემს სამშობლოს, სადაც მთელმა ჩემმა ჩემთვის ძვირფასმა სიცოცხლემ აქ უნდა გაიაროს და როგორც გაჩენილა, ისევ იქვე უნდა განჰქრეს!

წამოველ და მინდა შეძლებისამებრ შენც გაგიზიარო ჩემი ნახული.

ძველს ნივთიერებას ხშირათ მნიშვნელობას ვაძლევთ კერძო პირისათვის და მთელი ხალხისათვის იმის საჭიროებაზე და ძვირფასობაზე თითქმის ვერავის ეთქმის რამე წინააღმდეგი, მეტადრე „დროების“ თანამგრძნობელს.

კაცი რომ გამოიზრდება, იმის ზნეზე, ხასიათზე და მოაზრებაზე ბევრს რასმეს აქვს გავლენა პირველათ წუთი-სოფლის დანახვიდამ მისავე გამოსალმებამდის, მეტადრე სიყმაწვილეში; და მერე ისე, რომ ყოველ ნაკლულევანებას და ყოველ ღირსებას კაცის სიცოცხლეში და ცხოვრებაში მოეძებნება მიზეზი იმის წარსულს ცხოვრებაში; ამიტომ ძველი დრო კაცს ეხლა მიმავალი ცხოვრების სახელმძღვანელოთ უნდა მიაჩნდეს.

დედა შვილების გამოზრდაში თავის წარსულს ყმაწვილობას იგონებს, იგონებს თავის დედის ცხოვრებას მის ნაკლულევანებით და იმითი რამოდენათაც ხელმძღვანელობს, იმოდენათ სიამოვნებს. აი ვაჟკაცი, წინად ფალავანი და ეხლა ვისგანმე დამარცხებული, წინანდელ ფალავნობას თუ როგორმე მოიგონებს, ეხნეობს, გულს იმაგრებს და სიცოცხლეს იმატებს.

აი, ამიტომ, ჩემო დაო, ყოველი ნივთი, რომელიც კაცს წარსულს სიცოცხლს აგონებს, და ეს აზრები შესმენილი აქვს, დაუფასებელია იმისათვის, ამბობენ ბევრნი, და რადგანაც კაცი გულმავიწყიც არის, ამიტომ იმისათვის ყოველთვის საჭიროა წარსულ და აწმყოს ჩაჩიჩინებდეთ ჩვენს თავსა და ხალხსა:— „ადამიანო, ეცადე შენი სიცოცხლე გააუმჯობესოო,“ თორემ იმედის დაკარგვა და მიძინება არას უშველის კაცსა *).

მ. ზემოქართლელი

(დასასრული შემდეგში)

*) ერთი მეცნიერი კაცობრიობისათვის ცდილობდა და თავის შეუჩერებელ მუშაობას დიდს მნიშვნელობას აძლევდა, ამიტომ იმის ბრძანებით მოსამსახურე ამ სიტყვებით აღვიძებდა ყოველ დღე: „უფალო, გაიღვიძეთ, ბევრი ძვირფასი საქმე გრჩებათ კიდევ გაუკეთებელიო!“

ხალხთ ნობით და არეული ენებით შეიძლება ეწოდოს „ახალი ბაბილონი."

ყოველი გამოცხადებული რამ საზოგადოების საცნობელად ჩვეულებრივად იბეჭდება აქ ოთხს ენაზედ: თათრულ, ფრანციზულ, სომხურ და ბერძნულზედ.

ქალაქი ორ ნაწილად ა ნიყოფება: ძველი, დედა-ქალაქი ანუ სტამბოლი და ახალი — პერა. პირველში ცხოვრობენ აზიელები, მეორეში — ევროპიელები; მათ შორის ჩამოდის შტო ზღვისა, რომელზედაც ორი ხიდია, შემაერთებელი პერის სტამბოლთან.

პერა შეადგენს საუკეთესო ნაწილს ქალაქისას; აქ ცხოვრობენ, სხვა თაშორის, ელჩები, კონსულები, თავიანთი კანცელარიებით, მთელი ევროპის სახელმწიფოებთა. შინაგანი წყობილებით, ოთხ და ხუთ ატაჟიანი სახლებით, მდიდრული მაღაზიებით და სასტუმროებით, ხალხის მოძრაობით, ზდილური ქცევით და ჩაცმულობით, ქუჩების სისუფთავით, პატრების სიმრავლით — პერა მოგაგონებსთ ნამდვილ ევროპის ქალაქს. ცხოვრებაც პერაში ბევრად ძვირია, ვინემც თვით სტამბოლში

რაიცა შეეხება სტამბოლს, მას აქვს სრულებით სხვა ხასიათი; ეს არის ერთი ძველი, წმინდა აზიური ქალაქი: ქუჩები ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული, უსუფთაო, სახლები თუმცა უმეტესი ნაწილი ორ და სამ ეტაჟიანია, მაგრამ აშენებულია ძველებურ საშუალ-საუკუნის დროების სტილზედ. ღამით ქალაქში სრული სიბნელეა, ერთ ანთებულ ფარანს ვერ დაინახამს კაცი ქუჩაზედ; ღამის 9 საათზედ თითქმის ყოველი მოძრაობა ხალხისა აქ მიწყვეტილია.

მთელი სტამბოლის შენობებში შესანიშნავი და ყურადღების მისაქცევი არის მხოლოდ ხვანთქრის სასახლეები და აია-სოფიოს ძველი ეკკლესია, ახლა მეჩითი. ეს უკანასკნელი გარეგანი შეხედულობით თითქმის არ განირჩევა სხვა მეჩითებთაგან, მაგრამ როგორც კი კაცი შევა შიგნით, მის გონებას წარმოუდგება ქმნილება, სავსე საკვირველი ხელოვნებითა.

სტამბოლში არ არის, როგორც ჩვენში, დროჟკები და ფაეტონები; მათ თანამდებობას ასრულებენ: რიცხვით ძრიელ ცოტა გარდახურული კარეტები, ცხენის რკინის გზის ვაგონები, მსვლელნი მხოლოდ სამ ქუჩაზედ, შეკმაზული ინგლისურ იარაღით ჩასუქებული ცხენები.

შესანიშნავი და თან გასაკვირველი ის არის, რომ მთელ სტამბოლში ვერ ნახამთ ერთ ბიბლიოთეკას; სასტუმროებში და ყავახანებში კი შეხვდებით თითო ორ-ოლა გაზეთს, ეგრეთვე პერაში არის რამოდენიმე საწიგნო მაღაზია.

საზოგადოდ, გონებრივი გახსნილობით და ლიტერატურული მიდრეკილებით სტამბოლელნი ძრიელ დაბლა დგანან. მთელი მათი ჭკუა-გონება და გამჭრიახობა მიქცეულია ვაჭრობისადმი, სპეკულიაციური ალებ-მიცემობისადმი.

აქაური ქალის მდგომარეობა ძრიელ მცირედ განირჩევის სხვა აღმოსავლეთის ქალებთაგან. აქ ქალი არის სრულს მონებაში, სრულს ტყვეობაში უმეცართ და დესპოტურთ ქმრებთაგან. თუმცა, მართალია, გამოდიან, ლეჩაქით პირ-ახვეულნი ქალაქში სავაჭროდ, მაგრამ დიდის შიშითა და მოკრძალებით.

დროების გასატარებელი ადგილები თვით სტამბოლში ცოტა არის; მაგრამ ქალაქის გარეთ, მთელს ბოსფორზედ — რომელსაც აქვს 22 ვერსტი სიგრძე — ჩამომწკრივებულ ერთმანერთზედ მობმულ დაჩებში კი მრავალი ნაირია. ქალაქიდგან მიჰყავს და მოჰყავს დაჩებში ურიცხვი ხალხი პარახოდებს, რომელნიც დილიდგან საღამომდისინ ქსელავენ ბოსფორს და სტამბოლის არე მარეს. მარტო სეირნობაც პარახოდით ბოსფორზედ შეადგენს თავის-თავათ დიდ კმაყოფილებას.

სტამბოლში ცხოვრება თფილისსაზე ცოტა არ იყოს ძვირია; თვით სტამბოლში ისე არა, როგორც პერაში, სადაც მაგ. ოყა (3 გირვანქა) ხორცი ორი აბაზია, ქათამი ცხრა შაურიდგან სამ აბაზამდის, პური თეთრი ოყა სამ შაურად და სხვანიც იმის მგზავსად.

მაზანდა რუსის ქაღალდის ფულისა ამჟამად კონსტანტინოპოლში ძრიელ კარგია; თათრულ ლირას (ოქროს ფული) ცვლიან 6 მანეთად და 55 კაპ. ლირა გადის ვაჭრობაში 131 ყურუშად, მაშასადამე თითო ყურუში ჯდება ჩვენს სრულ ერთ შაურ ფულად. ეს მდგომარეობა კურსისა ძრიელ კარგია შედარებით, წინათ 1 ყურუში ჯდებოდა 5½ და ხანდისხან 6 კაპეიკად.

თუმცა კონსტანტინოპოლში, თვისი გეოგრაფიული მდებარეობით, ჰაერი უნდა იყოს ცხელი, მაგრამ ზღვის გამო, რომელიც შამოერტყმის ქალაქს გარშამო და შიგ შუაგულშიაც, აგრეთვე მდიდრული და უხვად მოფენილი მცენარეების წყალობით აქაური ჰაერი არის საკმაოდ ზომიერად შეზავებული. დიდ სიცხეებში ტერმომეტრი გვიჩვენებს: მზეში 27-°, ჩრდილში 21-°. საშუალო ტემპერატურა ზაფხულისა არის + 17,49-°, ზამთრისა + 4°. ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ სტამბოლმა არ იცის არც ქარი, არც მტვერი და არც ის მოულოდნელი ცვლილება ტემპერატურისა, რომელსაც ასე ვემდურით ჩვენს ქვეყანაში.

აქაურ მმართებლობაზედ და მის აწმყო მდგომარეობაზედ მოგწერთ შემდეგში.

პეტრე ჩარექოვი

## ვაზის ახალი ავათმყოფობა *)

I

ამ წერილით მინდა გაცნობოთ ის ახალი ვაზის ავათმყოფობა, ფილოქსერა, რომელიც საშინლათ მოედო ევროპის ვაზს და საკუთრათ საფრანგეთის ვაზს, — ისე მოედო რომ ძირიანათ ამოგდებას უპირობს. სულ შვიდი რვა წელიწადი არ არის, რაც პირველათ გამოჩნდა და ვაზის ათხრებას ბევრი აღარ უკლია რა. საფრანგეთის ქალაქებში ხედავთ ხოლმე, ქუჩებში ურმებით ჩამოუტანიათ სოფლის ხალხს გამხმარი ვაზი.

თვიდამვე ორიოდ წელიწადს ისე მოედვა ეს დაუზოგველი ჭირი, რომ დაალონა და ძალიან ჩააფიქრა ვენახების პატრონები. ნასწავლი კაცები შეუდგნენ ამ ავათმყოფობის შინჯვასა და გამოკვლევასა, და გაუძნელდათ იმისი გამორკვევა. თვით მმართებლობა ზრუნვასა და ფიქრს მიეცა. დასაწყისიდამვე სცნეს, რომ ეს ავათმყოფობა ნაცარზე უარესი ავათმყოფობაა და მცენარეობის სწავლის მცოდნე, ბოტანიკოსები, ენტომოლოლოსები, მეურნეობის მსწავლული აგრონომები და სხვა სწავლის მცოდნე კაცები შეუდგნენ ამ ავათმყოფობის თვისების გამოძიებას, გამოკვლევასა. რაც საფრანგეთში სამეურნეო საზოგადოებაა, ყველა ამ საქმეს მეტის-მეტს ყურადღებას აქცევს. მამულის პატრონები მმართებლობას თხოვნას თხოვნაზე უგზავნიან, რომ როგორმე შემწეობა აღმოუჩინოს.

მმართებლობაც კომისიებსა და კაცებსა ნიშნავს გამოჩენილ ნასწავლებისაგან. ესენი ბეჯითად ადგებიან ამათზე ნინდობილ საქმესა, ცდილობენ ავათმყოფობის მიზეზები შეიტყონ, სხვა და სხვა ღონისძიებას სცდიან და ცდილობენ ხალხში შეიყვანონ ეს მოგონებული საშუალება.

ამათი მეცადინეობა და შრომა რასაკვირველია ტყუილათ არ იკარგება. რაც კი მოსახერხებელია ჩვენის დროის სწავლის შემწეობით, ყველას ასრულებენ. ამათმა კარგა ხანმა შრომამ და გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ვაზს სახდელი ჭირი კი არა სჭირს, მეტის-მეტი ძნელი უხდელი ჭირი სჭირებია თურმე.

ამან უფრო დაალონა მამულის პატრონები. და როგორ არ დაალონებს კაცსა: ხედავთ შარშან, შარშანწინდელ აყვავებულ ვენახებს დღეს ფოთოლიც არ ასხია, ყურძნის ხსენებას ხომ ნუღარ იტყვით. აქ ერთ ვენახის ადგილას შავათ გამხმარ ვაზებსა ხედავთ და თითქოს უფრო დასაჩაგრავათ ობოლსავით შუაში თითო ვაზს რქა შერჩენია და ორიოდ ფოთოლი მწვანეთ უჩანს ან კიდევ შარშანდელი, მშვენიერი ზვარი ტრიალ მინდვრათ გადაქცეულა.

როგორც ჩვენში საქართველოში ვენახების დედა ადგილი კახეთია, ისეც საფრანგეთში სამხრეთი მაგრებია. აქაური ზვრები მთელ ევროპაში და მთელს დედამიწის ზურგზე გათქმულია: რომელს კუთხეშიაც გინდა, დედამიწის ზურგზე საფრანგეთის ღვინოსა ნახავ და ამით შეგიძლიათ დაათვალოთ, რა ზვრები უნდა იყოს. ამ ზვრების პატრონი რასაკვირველია რომ უნდა შეწუხდეს, როდესაც ხედავს ვენახების გავერანებასა.

ვაზი ნელ-ნელა ფუჭდება. პირველ წელიწადს არაფერს არ ეტყობა, მეორე წელიწადს გაზაფხულზე კიდევ მწვანეთ იმოსება, მაგრამ ეტყობა, რომ ფოთოლი და ყურძენი ნაკლებათა აქვს. მესამე წელიწადს ცხადათ ეტყობა ავათმყოფობა, ფოთლები და ყურძენი უფუჭდება: მეოთხე წელიწადს აღარც ყოთოლი აქვს, აღარც ყურძენი, ასე რომ ვაზი უნდა ამოთხაროთ და შეშათ იხმაროთ. ამისთანა დღე ადგებათ რიგ-რიგათ აქაურ ვენახებსა. ჯერ ამ ჟამად საერთოთ ყველგან არ მოდებულა ეს ავათმყოფობა, ჯერ დასაწყისია: მაგრამ მომავალში იქნება რაც იქნება, და რაც ნაცარმა ჩაიდინა, იმაზე ათასჯერ უარესს ეს ჭირი იზამს.

ამისთანა სტუმარს მოელის ჩვენი საქართველოს ვენახები და საკუთრათ უამისოთაც გაოხრებული კახეთი.

ამისათვის ჩვენთვის ძალიან საჭირო უნდა იყოს ყოველგვარი ცნობა ამ მომავალ მტერზე და თვალყური უნდა ვადევნოთ აქ რაც შეუტყვიათ და შეიტყობენ კვლავაც.

მე ძალიან ვეჭვობ, რომ ჩვენმა მამულის პატრონებმა კარგი ყურადღება მიაქციონ მომავალი მტრის ვითარება შეიტყონ და საქმის ცოდნით და ბეჯითობით წინააღმდეგობა დაუწყონ ავათმყოფობის მოდებასა და მამულებში შემოშვებასა, (რადგანაც თუ ერთის მამულში შემოვიდა, შემდეგ იმისი მოშორება თითქმის აღარ შეიძლება). თუმცა ამაების ეჭვი მაქვს, მაინც და მაინც თქმა სჯობს არა თქმასა.

(გაგრძელება)

*) რადგან ეს სტატია ჩვენი სოფლელი მკითხველებისათვის სასარგებლოთ მიგვაჩნია, ამის გამო, „სასოფლო გაზეთის" ნებართვით, ჩვენს გაზეთშიაც ვბეჭდავთ. რედ.

# ნარევი

სპარსეთის შაჰს გაუგზავნია პარიჟისთვის და აგრეთვე ევროპის ყველა სატახტო ქალაქებისათვის თავის თხზულების თითო ეგზემპლიარი. ეს მდიდრულად გამოცემული და მშვენიერ ყდაში გაკეთებული შაჰის თხზულება იმის ევროპაში მოგზაურობას შეეხება.

***

ფილადელფიის გამოფენის გამგებელი კამიტეტი აცხადებს, რომ ამ გამოფენაში გაგზავნილ ნივთებს ბაჟი არ გადახდებათ. მხოლოდ ყველა გამოსაფენ საგანზედ ჩრდილოეთ ამერიკის ელჩის ბეჭედი უნდა ესვას, და მთელს იასჩიკზე უნდა ეწეროს გარკვევით: For the International Exhibition of 1876, at Philadelphia.

გამოფენა 1876 წლის მაისის 10-ს დაიწყება და იმავე წლის 10 ნოემბერს დაიხურება. გამოსაფენი საგნების მიღება კი 1 იანვარს დაიწყება და 31 მარტს გათავდება. მიწერ მოწერა გამოფენის გამგებლებთან ამ ადრესით შეიძლება: The Director-General, International Exhibition, 1876. Philadelphia. P. A. U. S. A.

***

ერთს ფრანცუზს ისეთი შეზავებული წყალი მოუგონია, რომელსაც რამდენჯერმე გადაასხამს თურმე მიცვალებულს და ამის შემდეგ მიცვალებული კაცის გვამი ხუთი წლის შემდეგ ქვათ იქცევა.

***

მეორე ფრანცუზმა-ექიმმა აღმოაჩინა, რომ არაყი ყველა წამალზე უკეთ არჩენს გველის ნაკბენსაო. რამდენჯერმე უსინჯამთ და დარწმუნებულან, რომ თუ გველისაგან ნაკბენმა კაცმა იმდენი არაყი დალია, რომ დათვრა, რაც უნდა შხამიანი გველის ნაკბენი იყოს, რამდენსამე დღეში სრულიად მორჩებაო.

# სავაჭრო

△ კავკასიის სამხედრო მაზრის ინჟენერის სამმართველო გამოიწვევს მსურველთა, რათა იკისრონ იჯარით აღება ალექსანდროპოლის ციხეში ზოგიერთი მუშაობისათვის, რომლისთვისაც დანიშნულია 61,066 მანეთი.

ვაჭრობა იქნება ტფილისში ამ აგვისტოს 22-ს.

△ გზის-მკეთებელი კომიტეტი (Строительно - дорожный комитетъ) გამოიხმობს მსურველთა, რათა იკისრონ იჯარით მოტანა ქვიშისა და დამტვრეული ქვისა სამი წლის განმავლობაში, 1876 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1879 წლის იანვრამდი რემონტისათვის ტფილისიდამ ერივანამდი შოსსეს გზისა და ალექსანდროპოლის გზის რტოთი დელიჟანიდამ ხამზაჩემინამდი, ხოლო 1877 და 1878 წლებში ხამზაჩემინიდამ კარაკლისამდი. მთელი გზა სამ ნაწილად არის გაყოფილი: 1) ტფილისიდამ ნოვო-აქსტაფის სტანციამდი, 2) ნოვო აქსტაფის სტანციიდამ დელიჟანით კარაკლისამდი და 3) დელიჟანიდამ ერევნამდი.

პ ი რ ვ ე ლ უ ჩ ა ს ტ კ ა შ ი საჭიროა: ა) ტფილისიდამ სალანლუღამდი ყოველ წელიწადს 144,6 კუბიკური ოთხ-კუთხი) საჟენი სჩებენი (დამტვრეული ქვა) და სამი წლის განმავალობაში 433,8 საჟ.—თითო საჟენი 16 მანეთად, სულ 6,940 მან. და 80 კაპ. ბ) სალანლუღიდამ ნოვო-აქსტაფამდი ყოველ წელიწადს 546,96 კუბიკ. საჟენი, სულ 1640,88 საჟ. და თითო საჟენი—22 მან., სულ 36,099 მანეთის და 36 კაპეიკის.

მ ე ო რ ე უ ჩ ა ს ტ კ ა შ ი: ნოვო-აქსტაფიდამ დელიჟანამდი წელიწადში 379 კუბიკ. საჟ., სულ 1,137 საჟ; თითო საჟენი—14 მან. სულ 15,926 მანეთის და 379 საჟ. ქვიშა, თითო საჟენი 7 მანეთად. 2) დელიჟნიდამ ხამზაჩემინამდი წელიწადში 90 კუბიკ. საჟ. ქვა—საჟ. 14 მან. და 36 ქვიშა, საჟ.—7 მან. 3) ხამზაჩემანიდამ კარაკლისამდე ამავე ანგარიშით.

მ ე ს ა მ ე უ ჩ ა ს ტ კ ა შ ი: დელიჟნიდამ ერევნამდი საჭიროა ყოველ წელიწადს 600 კუბიკური საჟენი სჩებენი და სამ წელს 1,800 საჟ, თითო საჟენი—14 მან. სულ 25,000 მანეთისა.

მსურველთა უნდა გამოგზავნონ განცხადება მთავარ სამმართველოს კანცელარიაში ამ წლის 5-ს სექტემბრამდინ.

# განცხადებანი

ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება

ტ ფ ი ლ ი ს შ ი: მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში I და II კარი ყარამანიანისა, ფასი 30 კაპ. თავის სურათებით. აგრეთვე ენფიაჯიანცის საწიგნო მაღაზიაში დიდ პოლიციის გვერდით და სხვა ადგილებში, ყველგან ფასი 30 კაპ.

ქ უ თ ა ი ს შ ი: სვიმონ ჩომახიძესთან.

იბეჭდება და მომავალ თვეებში გამოვა III კარი ყარამანიანისა.

## „დროების“ ფოჩტა

— ს. მ—ს, ბ—ს. იმ პირმა, რომელზედაც თქვენ იწერებით, ფული ნამდვილად შემოიტანა.

— ნ. ლ—ს, ა—ს—ს. იწერებით ნომრები მაკლიაო და იმას კი არ ამბობთ—თუ რომელი ნომრები. შემოგვითვალეთ და დაუყოვნებლივ მიიღებთ, თუმცა ეს ნომრების დაკლება ჩვენი ბრალი არ არის.

— მ. ა. ა—ს, უ—ს. სწორეთ „ძაჰხლა“ წაიღეთ, აი, როგორც აქაური სომხები იტყვიან! უკანასკნელად გეხვეწებით: ტყუილა დროს ნუ ჰკარგავთ წერით და ნურც ჩვენ გვაკარგვინებთ თქვენი სტატიებისა და წერილების კონვერტიდამ ამოღებისთვის. თქვენი საქმე სულის საქმეა. ვისთანაც გნებავდესთ, იმას მიმართეთ.

— ი. კ—ს, ნ—ს. მთელი წლის ნომრების გამოგზავნა არ შეგვიძლია, რადგან, როგორც გამოცხადებული იყო, ყველა დაბეჭდილი ეგზემპლიარები გასაღდა. 1 ივლისიდამ მიიღებთ მეორე წლის 1 ივლისამდი, თუ გნებავთ.

# შეგირდების სადგომი

ქუთაისში არსებულ სასწავლებლების მართებლობისა ნება-დართვით, 1875 წლის 25 აგვისტოდამ ქუთაისში ეხსნი „შეგირდების სადგომს“, რომელსაც ექმნება შემდეგი მიზანი: ა) რომ იყოლიოს მოსწავლე ყმაწვილები ს უ ფ თ ა დ, წ მ ი ნ დ ა თ და საზრდოს მხრით ს ა მ ყ ო ფ ა დ; ბ) რომ ამეორებინოს ანუ მოამზადოს ყმაწვილები იმ ს ა გ ნ ე ბ ი ს ა და ე ნ ე ბ ი ს გაკვეთილებში (უროკებში), რომელთაც მათ ასწავლიან იმ სასწავლებლებში, სადაც ისინი მოსწავლე-შეგირდებათ ითვლებიან; ვ) რომ იხმაროს ყოველ-გვარი საშუალება მოსწავლე-ყმაწვილების გ ო ნ ე ბ ი ს ა და ზ ნ ე ო ბ ი ს გაუმჯობესობისათვის; დ) რომ დაეხმაროს იმათ [illegible] იმ ს ი მ რ თ ე ლ ე ს, რადგან მეცნიერების სიტყვით, გონებ[illegible] მოსწავლე ყმაწვილისა შეუძლებელია—თუ კი ის ფიზიკურათ სუსტი ან ავათმყოფი არის და ე) რომ იყოლიოს ხელმძღვანელებათ ყოვლის მხრით საიმედო ყმაწვილი კაცები, რომელთაც სწავლა ან უნივერსიტეტში, ან გიმნაზიაში და ან სემინარიაში აქვსთ შესრულებული. — ერთის სიტყვით, „სადგომი“ ყოველ-გვარ საშუალებას იხმარს, რომ ერთის მხრით სასწავლებლების მთავრობისა და მეორეს მხრით თავათ ყმაწვილების მშობლებისაგან მასზე დამყარებული იმედი არ გააწბილოს.

„სადგომი“ იხსნება უმთავრესად „ს რ უ ლ ი პ ა ნ ს ი ო ნ ე რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს“, მაგრამ შიგ შეიძლება მიღებულ იქმნენ ყმაწვილები როგორც „ნ ა ხ ე ვ ა რ პ ა ნ ს ი ო ნ ე რ ე ბ ა დ“, აგრეთვე „მ ო მ ს ვ ლ ე ლ ე ბ ა დ“. „ნახევარ პანსიონერებად“ ჩაითვლებიან იმისთანა ყმაწვილები, რომელნიც „სადგომზე“ დილის 9 საათიდამ საღამოს 6 საათამდე დარჩებიან, და „მომსვლელებად“ კი იმისთანა ყმაწვილები, რომელნიც ან დილიდამ (9 საათიდამ) სადილობამდისინ (12 საათ.) და ან ნასადილევიდამ (3 საათ.) საღამობამდინ (6 საათ.) დარჩებიან „სადგომზე“ გაკვეთილების მოსამზადებელად.

სრული პანსიონერისთვის მშობელი იხდის წ ე ლ ი წ ა დ შ ი 350 მან. ამ ფულს გარდა, პირველ წელიწადს ყმაწვილს მოსვლისათანავე თან უნდა მოჰყვეს:

ა) ე რ თ ი ხ ე ლ ი წ მ ი ნ დ ა ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ი იმ სასწავლებლის ფორმისა, სადაც ყმაწვილი მოსწავლე შეგირდათ ითვლება,

ბ) ქ ვ ე შ ს ა გ ე ბ ი: ლეიბი, ბალიში, მუთაქა, საბანი და კრაოტი ან ფასი იმისანი კრაოტისა, როგორსაც „სადგომის“ მზრუნველი არჩევს,

გ) ს ა მ ი ხ ე ლ ი წ მ ი ნ დ ა ტ ი ლ ო ს ს ა ც ვ ა ლ ი (პერანგები და მისი ამხანაგები),

დ) ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო წ ი გ ნ ე ბ ი, რაც „სადგომის“ მზრუნველის რჩევით, მოსწავლე ყმაწვილისათვის საჭიროიქნება.

მაენი მოაქვს „სრულ პანსიონერს“ მოსვლისათანავე წელიწადში 350 მან. ერთად, და შემდეგ წლებში კი—რამდენ ხანსაც ყმაწვილი „სადგომზე“ დარჩება, ყოველ-წლით 350 მანეთში—გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა, რომლისთვისაც ყოველთვის მშობელმა უნდა იზრუნოს,—„სადგომის“ მზრუნველზე იქმნება: ს ა დ გ ო მ ი, ს ა ზ რ დ ო, ს წ ა ვ ლ ა, ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ი და ერთის სიტყვით, ყოველ-გვარი საჭიროება, რაც კი ყმაწვილს დასჭირდება.

3) ნახევარ პანსიონერისა და მომსვლელისათვის ფასი გარდაწყდება მხოლოთ „სადგომის“ მზრუნველთან მოლაპარაკების შემდეგ. ამ მოლაპარაკების დროს მიიღება მხედველობაში—თუ ყმაწვილი სად, რომელ სასწავლებელში, ან რომელ კლასში, ან რამდენი საგნიდამ და რამდენი დროს განმავალობაში უნდა მომზადდეს. ამის შესაფერ მოხდება ფასის თაობაზე შეთანხმება.

გარდა სასწავლებელში მყოფთ მოსწავლე შეგირდებისა, „სადგომში“ შეიძლება იყვნენ ისეთი ყმაწვილებიც, რომელთაც ჯერ არსად არ უსწავლიათ და მომზადება ჰსურთ ქუთაისში არსებულ ან სხვაგან რომელსამე სასწავლებელში შესასვლელად. ამისთანა ყმაწვილებს ზემო-მოყვანილი პირობებით მიიღებენ.

აქვე „სადგომზე“ მსურველთ შეუძლიანთ აიღონ ცალკე გაკვეთილები (უროკები) ნემეცურის ენიდამ.

ფ უ ლ ი ს შ ე მ ო ტ ა ნ ა შეიძლება: ან მ თ ე ლ ი წ ლ ი ს ე რ თ ა დ პირველ სექტემბერს, ან წელიწადში ო რ ჯ ე ლ: პირველ სექტემბერს და პირველ მარტს და ან წ ე ლ ი წ ა დ შ ი ს ა მ ჯ ე რ: ისევ პირველს სექტემბერს, პირვ. იანვარს და პირვ. მაისს.

მ შ ო ბ ე ლ ი, რ ო მ ე ლ ს ა ც ჰ ს უ რ ს ყ მ ა წ ვ ი ლ ი „ს ა დ გ ო მ ი დ ა მ“ გ ა ი ყ ვ ა ნ ო ს, ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა ე ს ს უ რ ვ ი ლ ი ო რ ი თ ვ ი თ წ ი ნ ე თ შ ე ა ტ ყ ო ბ ი ნ ო ს „ს ა დ გ ო მ ი ს“ მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ს. ფ უ ლ ი რ ა ც შ ე მ ო ტ ა ნ ი ლ ი ა, მ შ ო ბ ე ლ ს, ყ მ ა წ ვ ი ლ ი ს გ ა ყ ვ ა ნ ი ს დ რ ო ს, უ კ ა ნ ა ღ ა რ დ ა უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა.

„სადგომის“ შესახებ ყოველ-გვარი რჩევისა და საქმისათვის, უნდა მიჰმართონ: ქ. ქუთაისს, სილაზე, უ. ლ. აველიანის სახლებში, სადაც იმყოფება შეგირდების სადგომი.

„სადგომის“ მზრუნველი ივ. მესხი

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | 3 | 27 | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 12 | 30 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 31 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი . | 10 | 49 | 8 | 2 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—ორშაბ. დილის 8 საათ.
სტამბოლს—კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—სამშაბათს, ღამით.
ოდესას—კვირას, გათენებისას.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) ტ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 5 აგვისტოს. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33\frac{1}{8}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $349\frac{1}{2}$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 75 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 223 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 223 | — |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 87 | 75 |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 213 | — |
| ფოთი-ტფილ. რკინ. გზის | 133 | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 13 აგვისტოს | | |
| პური შოთაგალის ფთ. | 1 | 15 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 4 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 4 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 7 | 80 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 55 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 65 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | 40 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 80 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | — |
| ოქრო $\frac{1}{2}$ იმპერიალი. . | 5 | 89 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Августа 1875 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.